პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტ
№ 24, [illegible]

რედაქციაში საქმეებისათვის [illegible] შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76, (მდივნის 10—53

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრ. [illegible]
ტელეფონი 10—49
[illegible] —65 კ. [illegible] გარეშე—95 კ. [illegible] —5 კაპ. [illegible]
ექსპედიციის ტელეფ. 8—43

პარასკევი, 12 დეკემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 284 (1139)

დღიური

— გერმანელ ექიმმა შილდმა გამოარკვია ტიფის ავადმყოფობის მიზეზი.

— მიუნხენისთვის მოელიან გერმ[illegible].

— ავად გახდა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ერიო.

— ჩემბერლენი ჩავიდა რომში და ესაუბრა პაპს.

— ეგვიპტეში შესდგა ახალი მთავრობა.

რევოლუციონური კანონიერება

კარგა ხანია, რაც დღის წესრიგში დგას რევოლუციონური, საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საკითხი. მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რ. კ. პ. ცეკას უკანასკნელმა პლენუმმა, რომელმაც საჭიროდ სცნო ამ მხრივ გადაჭრილი ზომების მიღება.

კერძოდ სოფლად, ეჭვი არ არის, რომ აქა-იქ აქვს ადგილი ადმინისტრატიულ თვითნებობას. ზოგან ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი თანამდებობის პირნი, რომელნიც მოქალაქეთა მიმართ დამოკიდებულებაში არა იშვიათად მოქმედებენ „თავიანთი შეხედულების მიხედვით“ და ნაკლებ ანგარიშს უწევენ არსებულ კანონებს და წესებს იმ საკითხების გადაწყვეტა-მოგვარების დროს, რომლებსაც აყენებს მათ დღიური ცხოვრება.

და ასეთ თავიანთ მოქმედებას ისინი ხშირად ამართლებენ „რევოლუციონური მიზანშეწონილების“ მოტივებით.

დრო არის ბოლო მოეღოს „რევოლუციონური მიზანშეწონილობის“ ასეთ დაპირისპირებას რევოლუციონურ კანონიერებისადმი.

რევოლუციის პირველ ხანებში, როცა წარმოებდა ბრძოლა მუშურ-გლეხური რეჟიმის განმტკიცებისათვის, როცა ცხოვრება მოუწყობელი იყო და საბჭოთა კანონიერებაც არ იყო ჩამოყალიბებული არც იურიდიულად, არც ორგანიზაციულად, — რევოლუციონური მიზანშეწონილება, ნამდვილი და არა წინწკლებში ჩასმული, იყო ჩვენი ბრძოლის და მუშაობის მამოძრავებელი ძალა და საზომი. მაშინ ეს საჭირო იყო და აუცილებელი.

მომავალშიც ასე მოვიქცევით, თუ საბჭოთა ხელისუფლებას კვლავ მოევლინება რაიმე საფრთხე. რევოლუციის დაცვა არის ჩვენი უმაღლესი მოვალეობა, რომლის შესრულებისათვის ჩვენ არაფრის წინაშე არ შევჩერდებით.

მაგრამ დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ არა ამაზე. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდში — გვაქვს მოქალაქეთა ურთიერთი დამოკიდებულების მომწესრიგებელი საბჭოთა კანონმდებლობა. მოწყობილი გვაქვს საბჭოთა სასამართლოც. ასეთ პირობებში, როცა ჩვეულებრივ საქმე ეხება მოქალაქეთა უფლებებს და ინტერესებს, სავსებით უნდა ვემყარებოდეთ საბჭოთა კანონიერებაზე და მის ორგანოების კანონიერ გადაწყვეტილებებს, რომელნიც ყველასათვის სავალდებულო უნდა იყვნენ.

ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბევრს ჩვენთაგანს კერძოდ პროვინციის ზოგიერთ მუშაკს თუ ორგანოს ჯერ კარგად ვერ შეუგნია იგი.

ჩვენში სასამართლოს ღირსება სათანადოდ არ არის დაცული. არის შემთხვევები, როცა მის დადგენილებებს ანგარიშს არ უწევენ ადმინისტრატიული პირები და ორგანოები. თუ მათ შეეკითხეთ, რატომ მოიქეცით ასე, ხშირად რევოლუციონურ მიზანშეწონილებას მოიყვანენ საბუთად. ნამდვილად კი აქ უმეტეს შემთხვევაში რევოლუციონური მიზანშეწონილების დარღვევასთან გვაქვს საქმე. ეხლანდელ პირობებში „რევოლუციონური მიზანშეწონილების“ იქით ხშირად ადმინისტრატიული თვითნებობა, უფლებათა გადამეტება იმალება.

ამ არა ნორმალურ მოვლენას ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა ავსწიოთ ხალხის თვალში სასამართლოს ავტორიტეტი, ღირსება. მისი გადაწყვეტილებების შესრულება, მისთვის ანგარიშის გაწევა ყველასათვის უნდა იყოს სავალდებულო. სასამართლოს დაწესებულებანი, კერძოდ პროკურატურა, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ საიმედო, მტკიცე, მეტ წილად პარტიული ძალებით, რომლებიც შესძლებენ მასსაში და სხვა დაწესებულებათა თუ ორგანიზაციათა წინაშე ნდობის და პატივისცემის დამსახურებას.

ამასთან სასამართლოს ორგანოები უფრო მჭიდროდ უნდა დავუახლოვოთ მშრომელ ხალხს. ეს ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანი, რომლის გადასაჭრელად უნდა ვიღოთ საჭირო ღონისძიებანი.

რევოლუციონურ კანონიერების განმტკიცებას და მოქალაქეთა უფლებების სრულ დაცვას ხელს შეუწყობს უპარტიო აქტივის და მოწინავე გლეხთა ჩაბმა საბჭოებში და სხვა ორგანოებში. ამ გზით შესაძლებელია მშრომელ გლეხობიდან ამოძრავება, მასში მეტი თვითმოქმედების გაღვიძება, პარტიასა და უპარტიო მშრომელ მასსას შორის უფრო მჭიდრო კავშირის გაბმა, რასაც უეჭველად მოჰყვება ყოველგვარი თვითნებობის აღმოფხვრა, ყოველ შემთხვევაში მისი უკიდურესობამდე შემცირება.

აგრეთვე აუცილებელია პროვინციის პარტიულ საბჭოთა ორგანოების პირადი შემადგენლობის შესწავლა და იქიდან გაძევება ყველა იმათი, ვინც [illegible] საბჭოთა კანონიერებას და ამით ლახავს მშრომელ მოქალაქეთა უფლება-ინტერესებს.

მთავარი კი არის, რომ პარტიის ყოველმა წევრმა, საბჭოთა ორგანოების ყოველმა მუშაკმა სავსებით შეიგნოს რევოლუციონურ კანონიერების განმტკიცების მნიშვნელობა.

უნდა ვიცოდეთ, რომ საბჭოთა კანონიერების განმტკიცება ჩვენი ერთი ძირითადი ლოზუნგთაგანია ამ ჟამად. აქეთ უნდა იყოს მიქცეული მთელი ჩვენი ყურადღება.

ჩვენი შინამრეწველობა და სახელმწიფოს გეგმაშეწონილ მეურნეობა

საქართველოში ნამდვილი ინდუსტრიალური წარმოება განუვითარებელია. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მნიშვნელობა ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ჯერ-ჯერობით ძალიან მცირეა.

სამაგიეროდ დიდძალი მუშა-ხელია დაბანდებული ქალაქად წვრილ სახელოსნოებში და სოფლად შინამრეწველობაში.

ისე რომ დიდი უმეტესობა ჩვენი საწარმოო ძალებისა იმდენად დაქსაქსულია, რომ [illegible] მიდგომა, როგორც აღრიცხვის, ისე მათი განვითარებისათვის ხელისშეწყობის მიზნით, მეტად ძნელი საქმეა.

1923 წლის სამრეწველო აღწერის თანახმად, საქართველოში ირიცხება სულ 14156 სამრეწველო დაწესებულება, რომელთაგან ცნობები შეგროვილი იყო 13.968 დაწესებულების შესახებ. ეს მასალა შემდეგ სურათს იძლევა:

სამრეწველო დაწესებულ.	მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი.	მათ შორის მუშები.	მექანიკური მამოძრავებელთა ცხენის ძალა
13,96	35,240	30,072	29,865

აქედან თითო სამრეწველო დაწესებულებაზედ მოდის:

მუშა . . . 2,22

მექანიკურ მამოძრავებლის საშუალო ძალოვნება . 2,14

ეს ციფრები კომენტარიებს არ მოითხოვენ, რადგან ყველასათვის ცხადია, თუ რას უნდა წარმოადგენდეს საშუალო ტიპი წარმოებისა, სადაც მუშაობს მხოლოდ ორი მუშა.

ახლა ავიღოთ დაწესებულებათა რიცხვი დაქირავებულ და დაუქირავებელ შრომით სარგებლობის მიხედვით:

საერთო რიცხვი		მათ შორის			
დაწესებულებათა	მუშებისა	დაქირავებული შრომით		დაუქირავებელი შრომით	
		დაწეს.	მუშები	დაწესებულ.	მუშ.
13,968	30.072	2,553	14,542	11,415	15530

ეს ნუსხა კიდევ უფრო ნათლად ჰყოფს, თუ რამდენათ უახლოვდება ჩვენი მრეწველობის სტრუქტურა საშუალო საუკუნოების ხანას და რამდენათ შორსაა იგი მეურნეობის თანამედროვე ორგანიზაციიდან.

როგორც აქედან სჩანს, ოთხმოც პროცენტზე მეტი ჩვენი სამრეწველო დაწესებულებისა მუშაობს დაუქირავებელი შრომით, რომელშიაც დაბანდებულია ნახევარზე მეტი საერთოდ ჩვენს მრეწველობაში ჩაბმული [illegible]. 13968 დაწესებულებიდან [illegible]5 დაწესებულება მუშაობს ისე, [illegible] ერთი ქირაულიც კი არ [illegible]. დანარჩენ 2553 დაწესებულებაში საშუალო რიცხვი მომუშავეთა მხოლოდ 5,68 უდრის.

ამასთან თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გარდა ამისა ჩვენს მრეწველობაში ჩაბმულია შინამრეწველთა არა ნაკლებ 40000 ოჯახისა, რომლებიც ქმნიან არა ნაკლებ ღირებულებას ვინემ ქალაქის ხელოსნები, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენათ [illegible] ჩვენი [illegible] მრეწველობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის საერთო წარმოების შესაძლებლობასთან შედარებით და რა სიძნელეს წარმოადგენს ჩვენს პირობებში სახელმწიფოს გეგმაშეწონილ მეურნეობის ორგანიზაცია.

ჩვენი შინამრეწველობა ჯერ-ჯერობით სრულიად შეუსწავლელია. საქართველოში არ ყოფილა ჯერ შინამრეწველობის არც ერთი საერთო აღწერა.

ის ცნობები, რომლებსაც იძლევა შარშანდელი ჩვენი სასოფლო სამეურნეო აღწერა, არ შეიძლება შინამრეწველობის გამოკვლევათ ჩაითვალოს.

იგი უფრო, ასე ვთქვათ, პირველი დაზვერვა იყო, ვინემ გამოკვლევა. მაგრამ ამ დაზვერვის შედეგადაც საკმაო მასალას იძლევიან იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შინამრეწველობას ჩვენს სახალხო მეურნეობაში და იმავე დროს როგორ უყურადღებოთ არის იგი მიტოვებული სახელმწიფოს მიერ.

ამ ცნობების თანახმად, მთელ საქართველოში მარტო შალის წარმოებაში არის ჩაბმული 28.815 ოჯახი, აბრეშუმის წარმოებას მისდევს 4,288 ოჯახი, ხალიჩა-ფარდაგებისას 3147, ხის დამუშავებას 3498 ოჯახი და სხვა...

აქედან რომ მარტო აბრეშუმის [illegible] ავიღოთ და შევადაროთ მთელ ჩვენ საფეიქრო სამრ[illegible]

ლოებს, რომლებშიაც, სათანადო პროფკავშირის ცნობების თანახმად, მუშაობს არა უმეტეს 400 მუშისა, ჩვენ ადვილათ წარმოვიდგენთ შინამრეწველობისა და ჩვენი ქალაქის მრეწველობის მდგომარეობას და მათ მნიშვნელობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

ჩვენი ნაციონალური მრეწველობის ფრიად საგრძნობი ნაწილი და დიდი უმეტესობა თვით საწარმოო ძალებისა წვრილ სახელოსნოებში და შინამრეწველთა ქოხებშია დაქსაქსული.

თუ ჩვენი სახელმწიფო საწარმოო გეგმა ამ ძალების გარეშე იქნება შემდგენილი, იგი მოწყვეტილი იქნება ცხოვრების სინამდვილეს. ამ დაქსაქსულ ხელოსნებისა და შინამრეწველთაგან შექმნილ თვითმოქმედ ორგანიზაციების გარეშე შეუძლებელია რაიმე მთლიანი საწარმოო გეგმის გატარება.

ამ ორგანიზაციების ერთად-ერთი ფორმაა სამრეწველო კოოპერაცია.

სამრეწველო კოოპერაციის განვითარება რუსეთში დღეს ძალიან ჩქარი ნაბიჯით მიიწევს წინ. სრულიად რუსეთის სამრეწველო კოოპერაციის ცენტრალურ კავშირის ცნობით, ამ ჟამად რუსეთში ითვლება ექვსი ათასამდე სამრეწველო კოოპერატიული ერთეული (არტელები და სხვადასხვა კოოპერატიული ამხანაგობანი). შინამრეწველობის მთელი პროდუქციის უკვე 12 პროც. ამ კოოპერატივების საშუალებით გადადის მომხმარებელთა ხელში. რუსეთში არ არის თითქმის არც ერთი გუბერნია, სადაც რამდენიმე ათეული სამრეწველო კოოპერატიული ორგანიზაცია არ არსებობდეს. ყველა საგუბერნიო სამეურნეო საბჭოსთან არსებობენ სამრეწველო კოოპერაციის ხელის შემწყობი სპეციალური სექციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მთელ ამ საქმეს.

ჩვენში კი ეს საკითხი ჯერ-ჯერობით თითქოს არც კი არსებობს. ყოველ შემთხვევაში სათანადო ორგანოები ამ საქმის გარშემო არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ და კაპეიკს არ ხარჯავენ.

გაზეთებიდან ვიცით, რომ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის — აზერბეიჯანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ამ საქმის ხელმძღვანელობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას დააკისრა. სასოფლო-სამეურნეო თუ კომუნალურმა ბანკმა სპეციალური თანხაც გამოჰყო შინამრეწველობისათვის საჭირო კრედიტების მიცემის მიზნით.

საჭიროა ჩვენმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამაც დასვას ეს საკითხი დღის წესრიგში და მიიღოს მის გადასაჭრელად შესაფერი ღონისძიებანი.

დ. ლ—ძე.

ცხენთა საჯიშოების განვითარებისთვის ჩვენში

ცხენთა საჯიშოების განვითარება ჩვენ გლეხურ ქვეყანაში ერთ-ერთი აუცილებელი ამოცანათაგანია. ჩვენი სასოფლო მეურნეობის წარმოების პრიმიტიული ფორმა მოითხოვს რათა ცხენთა საჯიშოების აღორძინებას მიეცეს მასიური ხასიათი, რომ ამ საქმეში იქნას ჩაბმული ფართო გლეხური მასა და ამ დარგს არ ექნეს ისეთი „კუსტარული“ კარიკატული ხასიათი, როგორიც მას დღემდე ჰქონდა.

გასაბჭოების შემდეგ ჩვენშიც განზრახული იყო სასოფლო მეურნეობაში ტრაქტორების შემოღება, მაგრამ ამას სისრულეში მოყვანა დაიგვიანებს. დღესდღეობით ამას ვერ შევსძლებთ სიღარიბისა და სათანადო ცოდნის უქონლობის გამო. ელექტრონის გუთანს ან ტრაქტორს დღესდღეობით ჩვენში ექნება უფრო საცდელ-საჩვენებელი ხასიათი. ამჟამად კი აუცილებელია რეალური ნაბიჯების გადადგმა სასოფლო მეურნეობის აღსადგენათ, რაც შეუძლებელია გლეხისთვის მკვდარ და ცოცხალი ინვენტარის მიწოდების გარეშე. ხვნა-თესვისთვის და სხვა სამეურნეო მუშაობისთვის უმჯობესია გამოვიყენოთ ხარკამეჩების ნაცვლად ცხენები.

დღეს ქართლ-კახეთში გლეხმა რომ ერთ დღეში დილიდან საღამომდე მოხნას ნახევარი დესეტინა მიწა, საჭიროა გააბას გუთანში რვა წყვილი ხარ-კამეჩი; ერთი წყვილი ჯიშიანი ცხენით კი ის გაცილებით მეტს მოხნავდა. ორი ცხენის შესანახათ მას გაცილებით უფრო ნაკლები დასჭირდებოდა, ვიდრე რვა წყვილი ხარ-კამეჩის შესანახად.

[illegible] სისტემის წყალობით გლეხს თუ დღეს ერთი ფუთი ხორბალი უჯდება 45 კაპ., ცხენის სისტემაზე გადასვლით დაუჯდება 35 კაპ. ტრაქტორი და ელექტრონი ისეთ რეალურ ეფექტს ჩვენ ვერ მოგვცემს დღესდღეობით. ცხენის ძალის უმჯობესობაში რომ ნათლად დავრწმუნდეთ, საკმარისია გადავხედოთ ძველი მალაკნების და გერმანელების ახალშენების მეურნეობას ჩვენში. საჭიროა ქართველმა გლეხმაც მიბაძოს მათ:

დღესვე უნდა შევეცადოთ, რომ გლეხობას მივაწოდოთ სალი, ჯიშიანი ცხენები და კარგი რკინის გუთნები; რომლებიც მზადდება საბჭოთა კავშირის ქარხნებში. საბჭოთა რუსეთში ამ საქმეს მთავრობის მიერ ექცევა დიდი ყურადღება. ამხ. რიკოვმა პროფკავშირთა მე VI ყრილობაზე განაცხადა შემდეგი: „ცხენთა რაოდენობის გადიდება და უცხენო მოსახლეთა შემცირება — აი მთავარი ამოცანა სასოფლო მეურნეობის დარგში“. ჩვენში კი ცხენთა საჯიშოებს არ უყურებენ, როგორც გლეხის საქმეს; ის თითქო მხოლოდ გასართობი დაწესებულება იყოს. ასეთი დამოკიდებულება ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმისადმი [illegible] უნდა ჩაითვალოს.

ჩვენში ეს საქმე ახალია, ვინაიდან მენშევიკებისაგან არაფერი დაგვრჩენია; არც ერთი ცხენი, არც ერთი შენობა, სულ ყველაფერი დანგრეულ-მონგრეული მივიღეთ. 1921 წ. [illegible] ამ საქმეს ამხ. [illegible] ჯონიკიძის და შ. ელიავას დახმარებით. შედარებით ბევრიც გაკეთდა, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელია: არ არის შესწავლილი რაოდენობა და მდგომარეობა ცხენთა მეურნეობის საქართველოში, არ ვიცით გლეხობის საჭიროება ცხენებში, არ გვაქვს დაყოფილი რესპუბლიკა რაიონებათ და არ გვაქვს გამორკვეული სად რომელი ჯიშია გასავრცელებელი, არ მოგვეპოვება ცხენების შესაფერი ჯიში გლეხების დასაკმაყოფილებლად. ეს მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ.

დღეს მიწათ-მოქმედების კომისარიატის ცხენთა საჯიშოების განყოფილება სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება და მას უსახსრობის გამო არ შეუძლია სათანადოთ გაშალოს თავისი მოქმედება. სახელმწიფომ შეძლების დაგვარად უნდა აღმოუჩინოს ამ საქმეს ნივთიერი დახმარება. მასსაც უნდა იქნას ამ მეურნეობაში ჩაბმული გლეხი დიდი სიამოვნებით გაიღებს მცირეოდენ გადასახადს საგრილებელ პუნქტით სარგებლობისათვის.

1924 წ. სახელმწიფო საჯინიბოებში ითვლება სულ 75 ჯიშიანი ცხენი. ამათგან წმინდა სისხლის 5, ნახევარი სისხლის 9, დანარჩენი 61 სხვადასხვა ჯიშების, აქედან მაზრებში: 11 საგრილებელ პუნქტში 30 ვაყა. ეს არა თუ მთელი საქართველოსათვის, ერთი მაზრისათვისაც საკმარისი არ არის.

მიწად-მოქმედების კომისარიატმა ყურადღება უნდა მიაქციოს ცხენთა მეურნეობის აღდგენას, რათა მიაწოდოს გლეხობას უმ[illegible] და ჯიშის ცხენები. ეს დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღდგენას და წინსვლას.

ი. ჟვანია.

არ მოეწონათ პერსელის განცხადება

ლონდონი. 9 დეკემბ. „მანჩესტერ გარდიან“-ში დაიბეჭდა წერილი, რომელიც შეეხება ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის მოსკოვში ყოფნას. წერილში ნათქვამია, რომ კომუნისტებს სურდათ გამოეყენებინათ პერსელის განცხადება იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ გერმანიის სოციალ-დემოკრატებისათვის არჩევნებში. ამასთან ერთად წერილში მოყვანილია ადგილი ინგლისის მუშათა პარტიის მიმართვიდან, რომელიც გაუგზავნა მან გერმანიის სოციალ-დემოკრატებს. ეს მიმართვა დაბეჭდილი იყო „ფორვერტს“-ში. მიმართვაში მუშათა პარტია გამარჯვებას უსურვებს მათ. გერმანელ სოციალ დემოკრატების. გაზეთი ამ მიმართვას უწოდებს „პროტესტს ინგლისის დელეგაციის წინააღმდეგ“.

„მანჩესტერ გარდიან“ აცხადებს, რომ ინგლისის დელეგაცია „გასცდა თავისი უფლებების ჩარჩოებს და თავისი თავი, შეიძლება მისი სურვილის წინააღმდეგ, გახადა კომუნისტური პროპაგანდის იარაღად მთელს ევროპაში. ცხადია, სასიამოვნო არ არის ინგლისის მუშათა პარტიისათვის ის, რომ მისი წარმომადგენლები გერმანიის არჩევნების დროს იდგენ კომუნისტების მხარეზე.

შეიძლება კიდევ უფრო არა სასიამოვნოა მაკდონალდის, ვანდერველდეს და სხვა სოციალისტ-ლიდერებისათვის, როცა მათ ესმით, რომ ყველა მათი პროტესტები საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოში წარმოადგენს სისულელეს და გამოხატავენ საბჭოთა კავშირის მტრების თვალსაზრისს.“

გაზეთი ასე ათავებს: „პერსელმა და მისმა მეგობრებმა, როგორც სჩანს, დაჰკარგეს პასუხისმგებლობის გრძნობა“.

ეს წერილი, რომელიც დაიბეჭდა ლიბერალურ გაზეთში. მიუთითებს დიდ უთანხმოებაზე მუშათა პარტიის [illegible] ფრთებს შორის.

ისმინეთ, მთელი მსოფლიოს მოწინავე მუშებო!

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება.

მოსკოვი, 11 დეკემბერი. „უკანასკნელი თვეების განმავლობაში ესტონეთში მომხდარი ამბები მთელი მსოფლიოს მუშების ყურადღებას იპყრობენ. რამ გამოიწვია ეს ამბები?

პატარა ქვეყანა ერთ მილიონზე ცოტათი მეტი მცხოვრებლებით.. ამ ქვეყანაში, რომელმაც, თუმცა მოკლე ხნით, მაგრამ მაინც განიცადა პროლეტარული რევოლუციის რეჟიმი და რომელიც ნამდვილი თავისუფლების ჰაერით სუნთქავდა, გაბატონდენ ერთი მუჭა თეთრგვარდიელები. ხიშტით რომ შეინარჩუნონ თავისი ძალაუფლება, ეს ერთი მუჭა თეთრგვარდიელები იძულებული არიან იყოლიონ დიდი და მუდმივი არმია, რომელიც სრულებით არ შეეფერება ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას.

მრეწველობა თანდათან მცირდება. უმუშევრობა იზრდება. გლეხობა სულს ლაფავს მძიმე გადასახადების ქვეშ, რომლებიც საჭიროა ჯარის და მთელი სახელმწიფო აპარატის შესანახავათ ყველა მისი სამინისტროებით და საელჩოებით, რომლებიც სრულებით არ შეეფერებიან ქვეყნის სიდიდეს. მმართველი წრეები გადაგვარების გზაზე არიან დამდგარი, სამხედრო მინისტრი მთვრალი გამოდის ქუჩაში. თეთრი მთავრობის უმაღლესი მოხელეები ქრთამებს იღებენ. სპეკულიანტი არაფრით არ განსხვავდება მინისტრისაგან, მინისტრი კი უცხოელი ბატონის უბრალო ლაქიისაგან. ქვეყანა იხრჩობა იმ პირობებში, რომელიც შექმნა ესტონეთის გამხეცებულმა ბურჟუაზიამ; ამ უკანასკნელს კი ძალაუფლება თავის დროზე ჩააბარა გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ.

ესტონეთი ნელ-ნელა კვდება. ასეთია სურათის ფონი.

მუშათა კლასი ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას და ის სცდილობს გაინთავისუფლოს თავი და გაანთავისუფლოს მთელი ქვეყანა იმ მცირერიცხოვან ჯგუფისაგან, რომელიც მხოლოდ ხიშტების საშუალებით ბატონობს. ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი კი, რომელსაც მუხლამდი სისხლში უდგას ფეხი, უცხოეთის ბურჟუაზიისაგან მიღებულ ფულით განაგრძობს ბურჟუაზიის მაღალი წრეების და მათი შვილების თავიდან ფეხებამდე შეიარაღებას და მუშების საშინლათ დასჯას.

მან დაარბია მუშათა მოძრაობის ყველა ორგანოები — პროფესიონალური, კოოპერატიული და პოლიტიკური ორგანიზაციები, დახურა მუშათა პრესა და, ამრიგად, მუშათა კლასს მოუსპო ყველა გზები, რომ ლეგალურად დაიცვას თავისი ინტერესები. 149 ამხანაგის პროცესი, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, ესტონეთის მუშების გალიზიანება იყო. სასამართლოში ჩაბეჭდული სიტყვის წარმოთქმისათვის დახვრიტეს იან ტომპ. სამუდამო კატორღა — ეს ესტონეთის „დემოკრატიის“ შედარებით მსუბუქი განაჩენია.

ესტონეთის ყველა მუშები კომუნისტური პარტიის მხარეზე არიან. ეს დამტკიცდა სხვადასხვა საპარლამენტო არჩევნებში თეთრი ტერორის პირობებშიც კი. ეს დაამტკიცა სხვადასხვა მიმართულებების ბრძოლამ პროფკავშირების და მუშების სხვა ორგანიზაციების შიგნით, სანამ ესტონეთის თეთრგვარდიელები ითმენდენ ამ ორგანიზაციებს. ესტონეთის სოციალ დემოკრატები დიდიხანია მოისპენ, ისინი გადაიქცენ ლაქიების ლაქიებათ.

პროვოკაციამ, რომელსაც არაერთხელ ეწეოდენ ესტონეთის მუშებს შორის, დაბოლოს ის შედეგი გამოიღო, რომ რეველის კომუნისტებმა ამას წინად მოაწყვეს შეიარაღებული გამოსვლა. მუშები ლომებივით იბრძოდენ. თითქმის უიარაღოებმა მათ დაიპყრეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სახელმწიფო დაწესებულებები. ისინი თავის ანაბარად იყვენ მიტოვებული, მათ არსაიდან არ მიუღიათ დახმარება, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც გააფთრებით დაეჯახენ მუშების სისხლით დამთვრალ ბურჟუაზიულ რეაქციას, რადგან მეტის მოთმენა მათ აღარ შეეძლოთ.

ესტონეთის ბურჟუაზია თავს დაესხა აჯანყებულებს მთელი თავისი არმიით. მეამბოხეები დამარცხდენ. შემდეგ დაიწყო ანგარიშის გასწორება იმაზე უფრო უარესი ფორმით, ვიდრე ამას ახდენდა ფინეთში ჯალათი მანნერგეიმი. ყოველ ღამე ხვრეტენ ესტონეთის ათეულ საუკეთესო მუშებს. მთელი ქვეყანა გმინავს თეთრი ტერორის უღლის ქვეშ. ყველა მუშები იძულებული არიან გაიარონ განსაკუთრებული წმენდა „ოხრანკაში“. დაპატიმრებულებს ციხეში სტანჯავენ და აწამებენ. იღვრება მუშათა სისხლი. „გამარჯვებულთა“ გამხეცებული შაიკა შურს იძიებს მუშებზე.

მთელი ძალაუფლება ესტონეთში გადაეცა სამხედრო დიქტატორს ლაიდონერს. მას ძველი ჯალათური დამსახურება აქვს: გენერალ იუდენიჩთან ერთად მან მოაწყო სამხედრო შეტევა რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ. მას ასეთი დამსახურებისათვის საპატიო ორდენი აქვს მიღებული ინგლისის მთავრობისაგან.

მთელი მსოფლიოს მოწინავე მუშები უნდა ჩაუფიქრდენ იმას, რაც ხდება დედამიწის ერთ პატარა ნაჭერზე, რომელსაც ეწოდება ესტონეთი. კლასთა ბრძოლამ აქ სამოქალაქო ომის ხასიათი მიიღო. მუშათა კლასი იმ მდგომარეობამდი მიიყვანეს, რომ მუშების საუკეთესო ნაწილი არჩევს მოკვდეს, ვიდრე ასეთ პირობებში იცხოვროს.

ესტონეთის სოციალ-დემოკრატებმა არა თუ მხარი არ დაუჭირეს მუშებს, ისინი, პირიქით, მუშების ჯალათების მხარეზე დადგნენ. ესტონეთის სოციალ-დემოკრატებმა ნდობა გამოუცხადეს ესტონეთის გენერალს ლაიდონერს — იმ დაუნდობელ ყასაბს, რომელმაც სავსებით დაიმსახურა ესტონეთის გალიფეს სახელი. ესტონეთის სოციალ-დემოკრატები გამოდიან ჯაშუშების როლში მუშების წინააღმდეგ. ისინი გამოდიან გაბატონებული წრეების დამხმარე[illegible] როლში, [illegible]რა ნოსკეების როლში.

ევროპის მთელი ბურჟუაზია ესალმება თეთრ ტერორს ესტონეთში. ინგლისის კონსერვატორების და საფრანგეთის [illegible] მთავრობები ულოცავენ ესტონეთის პრეზიდენტს [illegible] საფრთხისაგან განთავისუფლებას.

დე ჩაუფიქრდნენ ამ მაგალითს ყველა ქვეყნების სოციალ-დემოკრატები.

მთელი მსოფლიოს მოწინავე მუშები სათანადოთ ლაფასებენ ესტონელი კომუნისტების გმირობას. ესტონეთის მეამბოხეებმა, როგორც ჰამბურგის მეამბოხეებმა წარსულ წელში, დაამტკიცეს, რომ მუშათა კლასის საუკეთესო შვილებმა იციან თავგამეტებით ბრძოლა პროლეტარიატის საქმისათვის ყველაზე უფრო მძიმე პირობებში. ესტონეთის მუშა-კომუნისტების რაზმებმა უდიდესი პატივისცემა დაიმსახურეს მთელი მსოფლიოს მუშების მხრიდან.

თავზე ხელაღებულ ელემენტების ჯგუფი, რომელიც ესტონეთის მთავრობას უწოდებს თავის თავს, პასუხს აგებს მუშების თვითეულ წვეთ სისხლისათვის, რომელიც მათ დაღვარეს. ესტონეთის ეგრედ წოდებული მთავრობა ნუ იფიქრებს, რომ მას შერჩება [illegible] ბოროტმოქმედება. ჰეკატომბებისათვის (მასიური მსხვერპლი) მუშები შურს იძიებენ.

საუკუნო ხსოვნა დაღუპულ მებრძოლებს. გაუმარჯოს ესტონეთის კომუნისტურ პარტიას!“

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

სარკინიგზო კონფერენცია

მოსკოვი. 10 დეკემბერი. 10 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დელეგაცია საბჭოთა კავშირის და გერმანიის სარკინიგზო კონფერენციაზე.

პოლონელი ინტრიგანები.

მოსკოვი. 10 დეკემბერი. „როსტა“-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის საზღვაო ძალების უფროსმა პანცერჟანსკიმ განაცხადა: „პოლონეთის მინისტრის სიკორსკის განცხადება პარიზში ყოფნის დროს, რომ საბჭოთა კავშირი და გერმანია შეთანხმებულად ახდენენ მანევრებს ბალტიის ზღვაში, **წარმოადგენს მორიგ და უაზრო ჭორს**, რომლის გავრცელებას აქვს ერთგვარი მიზანი იმ დროს, როცა ნორმალურ კალაპოტში ჩადის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა. ჩვენ ამ მტრულად განწყობილი ხალხის ასეთი სულელური გამოსვლა შეიძლება ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ მათ სურთ გაართულონ ჩვენი ურთიერთობა იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც ჯერ კიდევ არ უცვნიათ საბჭოთა კავშირი. მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ **საფრანგეთის, ინგლისის და პოლონეთის მუშათა კლასი მიხვდება თავისი კლასიურ მტრების ჭეშმარიტ ზრახვებს და ღირსეულად შეაფასებს მათ.**

ვიატკის შინამრეწველობის ნაწარმი გერმანიის ბაზარზე

ვიატკა. 10 დეკემბერი. შინამრეწველთა კავშირს დაუკვეთეს გერმანიიდან ვიატკის შინამრეწველთა ნაწარმოების დიდი რაოდენობა.

ამხ. ბერზინის ჩამოსვლა.

მოსკოვი. 10 დეკემბერი. ლონდონიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი ინგლისში ამხ. ბერზინი.

ჩვენი ნავთი ავღანისტანში

საბჭოთა კავშირის ნავთი იპყრობს ავღანისტანის ბაზარს.

ქაბული. 9 დეკემ. ქაბულში ჩამოვიდა ნავთის სინდიკატის წარმომადგენელი. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს მან აღნიშნა, **რომ საბჭოთა კავშირის ნავთის პროდუქტებს დიდი გასავალი აქვთ ჩრდილოეთ ავღანისტანში.** ამჟამად გადადგმულია პირველი ნაბიჯი ნავთის პროდუქტების გასასაღებლად სამხრეთ ავღანისტანში. ამ ნაბიჯმა დიდი [illegible] გამოიღო. ნავთის პროდუქტების პარტია, რომელიც მიღებულ იქნა ნავთის სინდიკატის წარმომადგენლის ჩასვლისას, **უკვე გაიყიდა ქაბულში, რადგანაც ფასები ჩვენს პროდუქტებზე უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ინგლისის ნავთის პროდუქტებზე.** მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება ნავთის პროდუქტების მიწოდებაზე მთავრობის დაწესებულებებთან.

შემდეგ ნავთის სინდიკატის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მთელი რიგ ორგანიზაციების წარმომადგენლები და კერძო ვაჭრები მიმართავენ მას განმარტებებისათვის, **თუ როგორ შეიძლება ქაბულში სხვა საქონლის, მაგალითად, შაქრის, ბამბეულის, მანუფაქტურის და სხვათა შეტანა.** ქაბულის ვაჭრები ირწმუნებიან, რომ ავღანისტანის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა რუსეთის მანუფაქტურის, რომელსაც წინად დიდი გასავალი ჰქონდა ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის.

დანიის კომპარტიაში

კოპენჰაგენი, 10 დეკ. ესტონეთში მომხდარ ამბების გამო კოპენჰაგენში გაიმართა დანიის კომპარტიის საპროტესტო მრავალრიცხოვანი მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს ქრისტიანსენმა, [illegible] ნილსენმა და [illegible]. მიტინგზე გამოტანილ იქნა რეზოლუცია, რომელშიდაც სოლიდარობას უცხადებენ ესტონეთის მუშათა კლასს და მოითხოვენ, რომ დანიის მთავრობამ პროტესტით მიმართოს ესტონეთის წარმომადგენელს კოპენჰაგენში.

თემთა პალატაში

თავისას არ იშლიან.

ლონდონი. 10 დეკ. თემთა პალატის დღევანდელ სხდომაზე მუშათა პარტიის წევრმა მაკლინმა შეეკითხა ბალდვინს: **„კაბინეტის წევრებს უნახავთ თუ არა ზინოვიევის წერილის ორიგინალი** და შეუძლიან თუ არა პრემიერს აცნობოს, თუ მთავრობა რა საბუთით დარწმუნდა წერილის ორიგინალობაში.

ბალდვინმა უპასუხა: იმ დოკუმენტის სინამდვილის გამოსარკვევათ, რომლის ასლიც ჩაუვარდა ხელში ბრიტანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, დანიშნული იყო მთავრობის საგანგებო კომისია, რომელიც ერთხმათ დაადგა იმ დასკვნას, რომ წერილი ნამდვილი არის. ბოლოს ბალდვინმა განაცხადა, რომ ოპოზიციას საშუალება ექნება იკამათოს ამ საკითხის გარშემო ორშაბათს.

თავის მხრივ კლაინსმაც განაცხადა, რომ პალატას უფლება აქვს შეეკითხოს მთავრობის კომისიამ რა საბუთით გამოიმუშავა თავისი საბოლოო გადაწყვეტილება. კლაინსი შეეკამათა იმ მტკიცებას, თითქოს 1921 წლის შეთანხმება საბჭოთა კავშირთან საკმარისი იყვესო და ხაზი გაუსვა, **რომ თვით ინგლისისათვის უფრო აუცილებელია საბჭოთა კავშირთან მჭიდრო დამოკიდებულების აღდგენა.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონ ხიქსმა განაცხადა, **რომ მთავრობას არა აქვს არავითარი განზრახვა წარმოადგინოს ის საბუთები, რომლის შემწეობითაც იგი დარწმუნდა ზინოვიევის წერილის სინამდვილეში,** რადგან ამის გამომჟღავნებით საფრთხე მოელის ზოგიერთ პირებს. თუ საბჭოთა კავშირს სურს მეგობრული დამოკიდებულება იქონიოს ინგლისთან, მაშინ ამ საქმეს უნდა შეუდგეს იგი პირველ ყოვლისა თავისი პროპაგანდის მოსპობით მთელ ქვეყნიერებაზე. თუ იმას სურს ახალი ხელშეკრულება, დაე იმან შეწყვიტოს ბრიტანეთის [illegible] შეაჩეროს პროპაგანდა ინდოეთში, ეგვიპტეში და ყველა იმ ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან ბრიტანეთის ზედამხედველობის ქვეშ. ბოლოს ხიქსმა გადაჭრით განაცხადა მთავრობის სახელით, რომ სანამ საბჭოთა კავშირი არ შესწყვეტს თავის პროპაგანდას, მასთან არავითარი სხვა ხელშეკრულება არ იქნება დადებული.

ნაუენი, 11 დეკ. როცა თემთა პალატაში ირჩეოდა საპასუხო მიმართვა მეფისადმი, მაკდონალდმა სთხოვა მთავრობას წარმოადგინოს დამატებითი განმარტებები იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ჰქონდა ჩემბერლენს ერიოსთან და მუსოლინისთან. ბალდვინმა უპასუხა, რომ ჩემბერლენი, ალბათ, პირადად წარმოადგენს განმარტებებს მომავალ კვირაში ინგლისის საგარეო პოლიტიკის განხილვის დროს.

ლონდონი. 9 დეკ. თემთა პალატაში მუშათა პარტიის წარმომადგენელმა ტერტლმა შეკითხვა მისცა მთავრობას, როგორი ზომების მიღება აქვს მას განზრახული იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ინდოეთის ხალხის კანონიერი პრეტენზიები თვითმართველობაზე. ტერტლმა აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებული ცნობებით, **ინდოეთში ხშირად აპატიმრებენ ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვით.**

პალატის სხდომა გადაიდო ხვალისათვის.

ფაშისტების მუქარა

პარიზი. 10 დეკ. „ტანის“ ცნობით ესპანეთის დირექტორიის თავმჯდომარის დროებითმა მოადგილემ მაგაზმა, ესპანეთის წარმომადგენლებს უცხო სახელმწიფოებში დაუგზავნა ნოტა ადგილობრივ მთავრობათა გადასაცემათ. ამ ნოტაში წამოყენებულია მოთხოვნილება, რომ უცხო სახელმწიფოთა მთავრობებმა [illegible] თავიანთ ქვეყნის პრესა [illegible] ესპანეთის [illegible] კირითი, რომ ზოგიერთმა წარმომადგენელმა უარი სთქვა მათი გადაცემაზე დანიშნულებისამებრ. კერძოთ ესპანეთის ელჩმა პარიზში [illegible] უარი სთქვა ნოტის გადაცემაზე და პროტესტიც განაცხადა. ამ პროტესტს მხარი დაუჭირა დირექტორიის რამდენიმე წევრმა.

როგორც იუწყებიან — მაგაზის დაცხრება აუცილებელია, რადგან მეფემ უარი განაცხადა [illegible] გადაყენებაზე.

უკანასკნელი ცნობები

იმპერიალიზმი აგზარს ისხამს

პარიზი. 11 დეკემბერი. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი ძლიერ ცოტა ინტერესს იჩენს ერთა ლიგის საბჭოს სესიისადმი, რომელიც ახლა მუშაობს რომში. პრესა თითქმის არ ეხება სესიის მუშაობას და კმაყოფილდება მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ჟენევის ოქმის განხილვა გადაიდო. პოლიტიკურ წრეებში, როგორც ჩანს განზრახვა აქვთ მოამზადონ საზოგადოებრივი აზრი ინგლის-საფრანგეთ-ბელგიის შეთანხმებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს საფრანგეთის უშიშროებას.

ეხება რა ამ საკითხს, გაზ. „ლ'იუმანიტე" სწერს: „მუსოლინისა და ჩემბერლენის მოლაპარაკებამ რომში გამოარკვია, რომ იმპერიალიზმი შეტევაზე გადავა ორი ფრონტით: კოლონიებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პაციფისტური მუსიკისგან, რომლითაც ყურებს გამოგვიჭედეს ჟენევაში, არაფერი არ დარჩენილა. თვით ოქმი, როგორც ჩანს, დამტკიცებული არ იქნება.

კომუნისტების დევნა ამერიკაში

ნიუ-იორკი. 11 დეკ. „უორკერს პარტის" (მუშათა პარტია—ამერიკის კომუნისტური პარტია) წევრები ჯონ ლასსენი და ჟორჟ კრეიტერი დააპატიმრეს გაზეთ „უორკერ"-ში იმ ლექსის გამოქვეყნებისათვის, რომელიც შეიცავდა კულიჯის დაცინვას. მათ მოელის 5 წლის ციხე.

ნიუ-იორკი. 11 დეკ. მიჩიგანის შტატის უმაღლესმა სასამართლომ დაადასტურა დადგენილება, რომელიც გამოიტანა სასამართლომ ამერიკის მუშათა პარტიის მდივნის რუტენბერგის საქმის გამო. რუტენბერგს ბრალდებოდა მონაწილეობის მიღება კომუნისტების არალეგალურ ყრილობაში 1922 წ. რუტენბერგს მოელის 15 წლის ციხე.

თითონ ლაპარაკობენ თავის მოღალატეობაზე.

ბერლინი. 11 დეკემბ. მაგდებურგში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არჩევს მემარჯვენე გაზეთის „მიტელ დოიჩე ცაიტუნგის" რედაქტორის საქმეს. რედაქტორს ბრალად ედება პრეზიდენტ ებერტის შეურაცყოფა. კითხულობენ ებერტის ჩვენებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ის მუდამ მხარს უჭერდა სამშობლოს თავდაცვას და ომის დროს წინააღმდეგი იყო გაფიცვებისა სამხედრო მრეწველობაში. გაფიცვები 1918 წ. იანვარში დაიწყო სოციალ-დემოკრატების სურვილის გარეშე. პარტიის ც. კ. სამშობლოს ინტერესებისათვის სურდა ჩქარა მოეხდინა გაფიცვის ლიკვიდაცია და გაგზავნა გაფიცვის კომიტეტში ბრაუნი, შეიდემანი და ებერტი. ბავარიის მინისტრმა პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მათ პარტიის საჯარო სხდომაზე იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატებმა იკისრეს გაფიცვის ხელმძღვანელობა, რის გამო გაფიცვა ჩქარა დამთავრდა.

არჩევნების შემდეგ გერმანიაში

ბერლინი. 11 დეკემბერი. „ცაიტ" აცხადებს, რომ სახალხო პარტიას განზრახვა აქვს განაგრძოს ფართო კოალიციის პოლიტიკა ბურჟუაზიული მთავრობის შესაქმნელად. მაგრამ ამისათვის გაზეთი საჭიროდ თვლის, რომ ნაციონალისტებმა აღიარონ საგარეო პოლიტიკის ახლანდელი კურსის გაგრძელების აუცილებლობა, როგორც აღიარებდნენ ამას რეიხსტაგის გაშვებამდე.

უმუშევართა კონფერენცია.

ლონდონი. 11 დეკ მბერი. „უმუშევართა ნაციონალური კომიტეტის" კონფერენციას, რომელიც შესდგა შეფილდში, დაესწრო 50 დელეგატი 58 საოლქო ორგანიზაციიდან. დაესწრნენ აგრეთვე კომპარტიისა და კომკავშირის აღმასკომის წარმომადგენლები, რომლებსაც დელეგატები აღფრთოვანებით შეხვდნენ.

გერმანიის კომპარტიის მოწოდება.

ბერლინი, 11 დეკემბ. გერმანიის კომპარტიამ არჩევნების შედეგის გამო გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: „არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ მილიონიანი მასები კვლავ კომპარტიას მიჰყვებიან. კომუნისტურმა პარტიამ, მიუხედავათ მის წინააღმდეგ მიმართული საშინელი ტერორისა და რეპრესიებისა, გაამაგრა თავისი პოზიციები. სამრეწველო ოლქების პროლეტარიატი იწონებს ბრძოლას დოუესის გეგმის წინააღმდეგ. ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატიამ მოახერხა მუშების ნაწილის გადაბირება თავის მხარეზე, ამტკიცებს, რომ კომუნისტებმა ცალკე ოლქებში ვერ მოახერხეს მასების საკმაოთ დარაზმვა ბურჟუაზიის შეტევების წინააღმდეგ. კომპარტიის მოვალეობას შეადგენს გამოაშკარაოს ფაბრიკა-ქარხნებში სოციალ-დემოკრატია, როგორც ბურჟუაზიული პარტია. ისე როგორც წინათ, კომპარტია სასტიკად გაილაშქრებს ბურჟუაზიის აგენტების წინააღმდეგ რეიხსტაგში და საოლქო პარლამენტებში. კომპარტიამ უნდა გააძლიეროს თავისი გავლენა მასებში და ორგანიზაციულად განმტკიცდეს. უახლოეს ამოცანას წარმოადგენს ბრძოლის გაძლიერება მასების კიდევ უფრო დასაპყრობად.

გერმანია არჩევნების შემდეგ

მოკავშირენი უკმაყოფილო არიან.

ლონდონი. 11 დეკემბ. „დეილი მეილ" იტყობინება, რომ მოკავშირეთა საკონტროლო სამხედრო კომისიის მიერ მოხდენილ უკანასკნელ გამოძიების შემდეგ ლონდონის და პარიზის ოფიციალურმა წრეებმა მიიღეს ცნობა, რომ მოკავშირეთა სამხედრო კონტროლი გერმანიაში უნაყოფო აღმოჩნდა, რადგანაც გერმანიის ხელისუფლებამ საშუალება არ მისცა მოკავშირეთა ოფიცრებს დაეთვალიერებიათ სამხედრო დაწესებულებები, სამხედრო მასალების ქარხნები და ფაბრიკები, გაესინჯათ სამხედრო დოკუმენტები გერმანიის გენერალურ შტაბში. საკონტროლო კომისიის ცნობებით, აღდგენილი გერმანიის გენერალური შტაბი გართულია [illegible]-არმიის მოწყობით საიერიშო ოპერაციებისათვის. გერმანიას ამ ჟამად ჰყავს საიდუმლო არმია დაახლოებით 100,000 კაცის რაოდენობით, რომელიც წარმოადგენს დამატებას იმ არმიის, რომელიც ნებადართულია მოკავშირეების მიერ. ამას გარდა, სამხედრო მასალების დამამზადებელი წარმოებები მუშაობენ და არ არიან დანგრეული, როგორც ეს ნაბრძანები იყო მოკავშირე მთავრობების მიერ. ამ წარმოებებში ამზადებენ არა მარტო საარტილერიო იარაღებს, არამედ ყოველგვარ სხვა სამხედრო მასალებს და მოწყობილობას.

ბერლინი, 11 დეკემ. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, **გერმანიის სესხის სახით ამერიკის მიერ (მორგანის ბანკის მიერ) გაგზავნილია ოქროს ახალი პარტია 5 მილიონი დოლარის რაოდენობით.**

ბრაუნშვეიგის ლანდტაგში.

ბერლინი, 9 დეკ. ბრაუნშვეიგის ლანდტაგის არჩევნების საბოლოო შედეგები ასეთია: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 18 მანდატი, ნაციონალისტებმა—10, ცენტრმა—არც ერთი, კომუნისტებმა—2, სამეურნეო პარტიამ—4, სახალხო პარტიამ—10, ველფებმა (მონარქიული ჯგუფი)—1.

ამ რიგად ნაციონალისტების, სახალხო პარტიის, სამეურნეო პარტიის და ველფებისაგან შემდგარ ბურჟუაზიულ ბლოკს აქვს აბსოლუტური უმრავლესობა 25 ოცის წინააღმდეგ.

ძმური მილოცვა.

ლონდონი, 10 დეკ. ბრიტანეთის კომპარტიის ცეკამ დეპეშა გაუგზავნა გერმანიის კომპარტიას, რომლითაც იგი ულოცავს 45 ადგილის მოპოვებას რეიხსტაგში და 54—პრუსიის ლანდტაგში, მიუხედავათ სასტიკი დევნისა ბურჟუაზიულ პარტიების მიერ.

ჩინეთის ამბები

ვინ ეკითხება მათ

ჩაუენი. 11 დეკ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, უცხოეთის დიპლომატიურმა კორპუსმა პეკინში მიმართა კოლექტიური ნოტით ჩინეთის ახალ მთავრობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბოქსერების აჯანყების დროს, მზად არიან დაიცვან მუდმივი ურთიერთობა ჩინეთის ახალ მთავრობასთან, თუ ეს უკანასკნელი [illegible] ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებული იყო ჩინეთის წინანდელ მთავრობებს უცხოეთის სახელმწიფოებთან.



ხიუან-დუანი
ჩინეთის „იმპერატორი", რომელიც ეხლახან გააძევეს პეკინიდან.

პრეზიდენტი მექრთამე

პეკინი. 9 დეკემბერი. სამხედრო სამინისტროს და გარეშე საქმეთა სამინისტროს მოუვიდათ განკარგულება **პასუხისგებაში მისცენ ყოფილი პრეზიდენტი ცაო-კუნი, რომელსაც ბრალად ედება მექრთამეობა წინანდელ არჩევნების დროს;** პროცესის დროს ის უნდა იქნეს სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ. ცაო-კუნის ქონება უდრის 50 მილიონ მანეთს. მან თავისი კარიერა დაიწყო, როცა სულ ღატაკი იყო.

დაწყებულია გამოძიება აგრეთვე იმ დეპუტატების და სენატორების წინააღმდეგ, რომლებიც შენიშნული არიან ამ საქმეში.

ჩინეთის არმიის შემცირება

პეკინი. 8 დეკემბერი. გაცემულია ბრძანება ჩინეთის არმიის ომის წინანდელ რაოდენობამდე შემცირების და ახალი გაწვევის შეწყვეტის შესახებ.

უცხოეთის ჩარევის გარეშე

პეკინი. 9 დეკემბერი. დუან-ციჯუიმ წინადადება მისცა ჩინეთის ყველა წარმომადგენლებს უცხოეთში უარჰყონ ხმები იმის შესახებ, თითქოს ჩინეთის მთავრობას განზრახული აქვს მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია ჩინეთისათვის „დოუესის გეგმის" შემუშავების მიზნით. დუან-ციჯუი აცხადებს, რომ ჩინეთის მთავრობას განზრახული [illegible] საგარეო და [illegible] კითხი გადაწყვიტოს [illegible] გარეშე.

ტრედიუნიონების დელეგაციის გამგზავრება

საბჭოთა კავშირიდან გამგზავრების წინ.

მოსკოვი. 11 დეკემბ. ინგლისის დელეგაციამ ინახულა კინო-თეატრი „სპარტაკ"-ი, სადაც უჩვენებდნენ იმ კინო-ლენტებს, რომელზედაც გადაღებულია დელეგაცია, მისი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, მოგზაურობა და სიტყვებით გამოსვლა.

წინა დღით დელეგაცია გაემგზავრა შატურკაში, სადაც მას აღფრთოვანებით შეხვდნენ. იმავე დღეს დელეგატები ეწვიენ ტომსკის.

დელეგაცია მიემგზავრება ინგლისში ლენინგრადით. მათ განზრახული აქვთ შეჩერდნენ „ვოლხოვსტროი"-ს დასათვალიერებლად.

მოსკოვი. 11 დეკ. 10 დეკ. ტრედიუნიონების დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვიდან ლენინგრადში. დელეგაციას მიაცილებდნენ: პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები, პიონერთა რაზმები და მრავალრიცხოვანი ხალხი. გაცილება გულწრფელი ხასიათის იყო. მესამე ზარის შემდეგ პირველმა დაიძახა: „გაუმარჯოს მუშათა კლასს და მთლიან პროფმოძრაობას". მატარებელი დაიძრა „ურა"-ს ძახილში და ორკესტრის ხმებში.

წითელ რესპუბლიკებში

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები დანიაში და ესტონეთში

მოსკოვი. 11 დეკემბერი. **საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ესტონეთში დანიშნულია გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის უფროსი მდივანი პეტროვსკი. საბჭოთა კავშირის ეხლანდელი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესტონეთში—კობეცკი დაინიშნა წარმომადგენლად დანიაში.**

ამინდი და ნათესები.

მოსკოვი 11 დეკ. მოსკოვის ბიუროს ცნობით, სიცივეები დაიჭირა საბჭოთა კავშირის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ცენტრალურ რაიონში ყინვებია.

ქურდების გასამართლება.

ხარბინი. 11 დეკემ. წინასწარი, გამოძიება ოსტროუმოვის (აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის ყოფილ თავმჯდომარის) საქმის გამო დამთავრდა. პროკურორმა საკმაო საბრალმდებლო მასალა შეაგროვა საოლქო სასამართლოში საქმის გადასაცემად.

ოსტროუმოვს ბრალად ედება რკინის გზის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება, თავის მოვალეობათა შეუსრულებლობა და სხვა. რკინის გზის სამმართველოს ყოფილ წევრებს მიხაილოვს, სტუპუნინს და გავრილოვს ბრალად ედებათ მახინაციები, მანდატების სიყალბის ჩადენა. პასუხისგებაში მიცემული არიან აგრეთვე მანჯურიის ექსპორტიორი სოსკინი და კომერსანტები ოპარინი, ლეიშენზონი, ფაინიცკი და ალტუმლერი. ყველანი დაპატიმრებული არიან საოლქო სასამართლოსთან. პროკურორმა უარი სთქვა მათ განთავისუფლებაზე.

თავდასხმა მოლდავიის რევკომის წევრზე.

მოსკოვი, 11 დეკ. ოდესიდან **მიღებულია ცნობა, რომ კოლიუპინშჩინის მახლობლად, დნესტრის ნაპირზე, ტირასპოლის რაიონში მოხდა თავდასხმა მოლდავიის რევკომის წევრ კრივორუკოვზე. კრივორუკოვი უვნებლად გადარჩა. თავდამსხმელთა შესაპყრობად მიღებულია ზომები.**

ამხ. ტროცკის გამოსვლის გამო

ტროცკის წერილი ოლმინსკისადმი

მოსკოვი. 11 დეკემ. ვათავსებთ ტროცკის წერილს, რომელიც გამოაქვეყნა ოლმინსკიმ ამ დღეებში გამოსასვლელად გამზადებულ თავის წიგნის წინასიტყვაობაში „ლენინი ტროცკის და ტროცკიზმის შესახებ".

„ძვირფასო მიხეილ სტეფანეს ძევ!

მაპატიეთ, რომ პასუხი დაგიგვიანეთ. ამ კვირაში დიდი დავიდარაბა გადამხდა. თქვენ მეკითხებით ჩხეიძისადმი ჩემ მიერ მიწერილ წერილების დაბეჭდვაზე. არ ვიცი რომ რომ ეს დროული იყოს. ისტორიისათვის ჯერ დრო არ დამდგარა. წერილი დაწერილია მომენტის და მისი მოთხოვნილებათა ზეგავლენით და წერილის კილოც მას შეფერის. ეხლანდელი მკითხველი ვერ გაიგებს მის კილოს, ვერ შეიტანს სათანადო ისტორიულ შესწორებებს და მხოლოდ შეცდომაში შევა. საზღვარგარეთიდან უნდა მოგვივიდეს პარტიის არქივი და საზღვარ-გარეთ გამოცემული მარქსისტული ლიტერატურა: იქ ბევრი წერილებია ყველა იმათი, ვინც მონაწილეობას იღებდა „ჩხუბში". ნუ თუ თქვენ აპირებთ ამ წერილების დაბეჭდვას? ეს შექმნიდა სრულიად ზედმეტ პოლიტიკურ გართულებას, ვინაიდან საეჭვოა, რომ პარტიაში მოიპოვებოდეს 2 ძველი ემიგრანტი, რომელთაც ერთმანეთი არ გალანძღოთ წერილობით იდეური ბრძოლის და წუთიერ აღელვების ზეგავლენით და სხვ.

თქვენ აპირებთ ჩემი წერილების განმარტებას. მაგრამ ეს იმას ნიშნავდა, რომ მოუთხროთ ყველას ის, რაშიაც მე მაშინ არ ვეთანხმებოდი ბოლშევიკებს. ჩემი ბროშიურის წინასიტყვაობაში: „შედეგები და პერსპექტივები" ამის შესახებ მე მოკლეთ ვილაპარაკე. ზედმეტად მიმაჩნია ამის განმეორება იმიტომ, რომ პოლიციის დეპარტამენტის საქმეებში შემთხვევით აღმოჩნდა ეს წერილები. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ფრაქციონულ ბრძოლის რეტროსპექცია ეხლა გამოიწვევდა კამათს, ვინაიდან, ვაღიარებ გულწრფელათ, მე სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ ბოლშევიკებთან უთანხმოების დროს ყველაფერში მართალი ვიყავი. არ ვიყავი მართალი მენშევიკურ ფრაქციის შეფასებაში, რადგან ზედმეტად ვაფასებდი მის რევოლიუციონურ შესაძლებლობას და იმედი მქონდა, რომ მოვახერხებდი მასში მემარჯვენე ფრთის იზოლიაციას და მისი გავლენის გაქარწყლებას. ეს ძირითადი შეცდომა გამომდინარეობდა იქიდან, რომ ორივე ფრაქციას, ბოლშევიკურსაც და მენშევიკურსაც შეუდგებოდი პერმანენტულ რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის იდეის თვალსაზრისით, მაშინ როდესაც ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც იმ დროს იდგენ ბურჟუაზიულ რევოლიუციის და დემოკრატიულ რესპუბლიკის თვალსაზრისზე. მე ვფიქრობდი, რომ უთანხმოება ორივე ფრაქციას შორის პრინციპიალურად არც ისე ღრმა იყო და იმედი მქონდა (ამ იმედს მე გამოვთქვამდი არა ერთხელ წერილებში და მოხსენებებში), რომ რევოლიუციის თვითმსვლელობა მიიყვანდა ორივე ფრაქციას პერმანენტულ რევოლიუციის და მუშათა კლასის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების პოზიციამდე, რაც ნაწილობრივ კიდეც მოხდა 1905 წელს (ლენინის წინასიტყვაობა კაუცკის წერილში რუსეთის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების შესახებ და გაზეთ „ნაჩალო"-ს მთელი ხაზი).

მე ვფიქრობ, რომ ჩემი მიერ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა შეფასება უსათუოდ სწორი იყო, ხოლო ის დასკვნები, რომელიც მე აქედან გამომყავდა ორივე ფრაქციის მიმართ, უსათუოდ არა სწორი იყო. მხოლოდ ბოლშევიზმმა, თავის შეურიგებელი ხაზის წყალობით, თავი მოუყარა თავის რიგებში როგორც ძველი ინტელიგენციის, ისე მუშათა კლასის მოწინავე ფენების ნამდვილ რევოლიუციონურ ელემენტებს. მხოლოდ იმის წყალობით, რომ ბოლშევიზმმა მოახერხა ამ რევოლიუციონურ შედუღებულ ორგანიზაციის შექმნა, შესაძლებელი გახდა ასე სწრაფი გადახრა რევოლიუციონურ-დემოკრატიულ პოზიციიდან რევოლიუციონურ-სოციალისტურისაკენ.

ეხლა, მე ადვილათ შემეძლო გამეყო ჩემი პოლიტიკური წერილები მენშევიკების და ბოლშევიკების წინააღმდეგ ორ კატეგორიად: ერთი, რომელიც ეხება რევოლიუციის შინაგან ძალების და მისი პერსპექტივების ანალიზს (თეორეტიულათ როზა ლიუქსემბურგის პოლონური ორგანო „ნეიე ცეიტ") და სხვები, რომელიც ეხება რუსეთის სოციალ-დემოკრატების ფრაქციის და მათი ბრძოლის შეფასებას.

პირველ კატეგორიების წერილები მე შემეძლო ეხლა მომეთავსებია შეუსწორებლად, რადგან ისინი სავსებით შეეფერება ჩვენი პარტიის პოზიციას 1917 წლიდან დაწყებული. მეორე კატეგორიის წერილები აშკარად შეცდარია და მათი ხელმეორედ გამოცემა არა ღირს. ორი გამოგზავნილი წერილი ეხება მეორე კატეგორიის წერილებს და მათი გამოქვეყნება დროსთან შეუფერებელია.

მივანდოთ ვისმე ამის გაკეთება 10 წლის შემდეგ „თუ მაშინ დაინტერესდებიან ამით".

კომუნისტური სალამით **ლ. ტროცკი.**
1921 წ. 6 დეკემბერი.

ხანძარით გამოწვეული ზარალი სამტრედიაში

10 დეკემბერს გაჩენილმა ხანძარმა სამტრედიაში შთანთქა დიდძალი პარკი, რომლის რაოდენობა უდრიდა 28 ვაგონს. პარკი დაზღვეული იყო სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოში. პარკი დაწინდრებული იყო სასოფლო-სამეურნეო ბანკში.

ცეცხლის მქრობელ რაზმების ინსპექტორ ამხ. ზერიძისაგან რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშა:

„10 დეკემბრის შუადღის 12 საათზე [illegible] მიზეზების გამო [illegible] ფარდულს. შემდეგ [illegible] ცეცხლი [illegible] „[illegible]რი"-ს საწყობებს, სადაც მოთავსებული იყო სამი ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი. ძლიერი ქარის გამო ცეცხლი გადავიდა რამოდენიმე სახლზე. სხვადასხვა ადგილას გადარჩენილ იქნა 700 ფუთი პარკი.

ცეცხლმა შთანთქა ფარდული (პარკის სახმობი), საწყობი და თორმეტი სახლი.

ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობას ღებულობდენ ადგილობრივი რკინის გზის ცეცხლის მქრობელი რაზმი, (რომელმაც დიდი მხნეობა გამოიჩინა), ქუთაისის და ბათომის პროფესიონალური რაზმები და ფოთის რკინის გზის მოხალისენი.

ბინის ახალი კანონი

თბილისის აღმასკომის პლენუმის დადგენილება

საბინაო ქირის საკითხი

თბილისის აღმასკომის პლენუმმა 10 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საბინაო ქირის საკითხი.

1923 წლის აპრილში გამოცემული ქირის ნორმა წარმოდგენილი პროექტით დიდდება 100 პროცენტით—ე. ი. ორჯერ. პროექტით გამოწვეული მეორე ცვლილება მდგომარეობს მასში, რომ საბინაო ნორმა ყოველ სულზე მცირდება 20 კვადრ. არშინით. ბინის ქირის ნორმის გადიდება ნაკარნახევია არა სახლის პატრონის ინტერესებით, არამედ სახლის მოვლის გაუმჯობესების მიზნით.

ამ პროექტით მუშის საბინაო ქირა არ აღემატება ხელფასის საერთო რაოდენობის 10 პროცენტს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა ქვემომოყვანილი პროექტი და დაავალა აღმასკომის პრეზიდიუმს: 1) გამოსცეს სავალდებულო დადგენილება სახლის პატრონთა მიერ სახლების შესაკეთებლად წარმოებულ მუშაობაზე მეთვალყურეობის მოწყობის შესახებ, 2) გამოსცეს დამატება სამხედრო მოსამსახურეთათვის საბინაო შეღავათების მინიჭების შესახებ, 3) გამოიმუშაოს სპეცებისათვის სავალდებულო ქირის ნორმა.

პლენუმის მიერ მიღებული დებულება ასეთია:

დებულება ბინის ქირის შესახებ

§ 1. ყველა ის პირები, რომელთაც უჭირავთ საცხოვრებელი ბინა, როგორც მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში (მიუხედავათ იმისა, თუ ვის გამგებლობაში იმყოფება ასეთი სახლები), ისე კერძო სახლებში ვალდებული არიან გადაუხადონ სახლის გამგეს (სახლის პატრონს ან მფლობელს, სახლის მმართველს ან კომენდანტს, საბინაო ამხანაგობის გამგეობას და სხვა) ბინის ქირა ამ დებულების მიხედვით.

§ 2. ბინის ქირის გამოანგარიშება ხდება სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის მიხედვით (სამზარეულო, საბინაო ოთახი და სხვა მოწყობილობა ბინასთან ანგარიშში არ უნდა იქნეს მიღებული).

§ 3. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ბინის ქირა დაწესებულია ყოველ ოთხკუთხ არშინზე თვიურად შემდეგი რაოდენობით:

კატეგორია	ხელფასი თვეში (მანეთ.)	ბინის ქირა თვეში (კაპ.) ოთხკ. არშინზე
1	20 მან.-მდე	1 კაპ.
2	21-30	1,5
3	31-40	2
4	41-50	3
5	51-60	4,5
6	61-70	5,5
7	71-85	8
8	86-100	10
9	101-125	13
10	126-150	17
11	151-175	21
12	176-200	25
13	201-250	30
14	250-ზე მეტი	35

შენიშვნა: 1. ბინის ქირის გამოანგარიშების დროს ანგარიშში მიღებული უნდა იქნეს შრომის ძირითადი ხელფასის რაოდენობა.

შენიშვნა: 2. მუშა-მოსამსახურენი ვალდებული არიან წარუდგინონ სახლის პატრონს ან გამგეს სათანადო ცნობები მათი შრომის ხელფასის რაოდენობის შესახებ.

§ 4. ქვემოდ ჩამოთვლილი კატეგორიების მოქალაქენი იხდიან თითო ოთხკუთხ არშინზე 1 კაპიკს:

ა) შრომისა და ომის ინვალიდები;

ბ) ის პირნი, რომელნიც სოციალურ უზრუნველყოფის მზრუნველობაზე იმყოფებიან და არა აქვთ საკუთარი საარსებო წყარო;

გ) წითელ-არმიელთა ოჯახები, რომელნიც იმყოფებოდენ წ.-არმიელის მზრუნველობაზე მათ გაწვევამდე სამხედრო სამსახურში და რომელთაც არ მოეპოვებათ საკუთარი საარსებო წყარო;

დ) შრომის ბირჟაზე აღრიცხული დაზღვეული უმუშევრები;

ე) სტიპენდიანტი მოსწავლენი.

§ 5 ის მოსწავლენი, რომელნიც არ იღებენ სახელმწიფო სტიპენდიას და არ იმყოფებიან თავიანთ ოჯახების მზრუნველობაზე, იხდიან ყოველ ოთხკუთხ არშინზე 1,5 კაპიკს.

§ 6. თავისუფალი პროფესიის პირნი, როგორც მაგალითად: ექიმები, ინჟინრები, მსახიობები, იურისტები, ლიტერატორები და სხვა, თუ მათზე არ ვრცელდება ამ დებულების მე-3 პარაგრაფი, იხდიან ქირას არა ნაკლებ 8 კაპიკისა და არა უმეტეს 25 კ. ყოველ ოთხკუთხ არშინზე.

შენიშვნა. თავისუფალი პროფესიის პირნი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიეკუთვნონ ამ დებულების მე-3 პარაგრაფში აღნიშნულ გადამხდელთა კატეგორიას, თუ მათ მთავარ საარსებო წყაროს შეადგენს დაქირავებითი შრომა.

§ 7 ის პირნი, რომელნიც ცხოვრობენ არა შრომით მიღებულ შემოსავლით, იხდიან ქირას სახლის გამგებლობასთან შეთანხმებით. მაგრამ არა ნაკლებ 20 კაპიკისა პირველ და მეორე ხარისხის საწარმოო პატენტის ამღებთათვის და არა ნაკლებ 60 კაპ. დანარჩენ კატეგორიებისათვის ყოველ ოთხ-კუთხ არშინზე თვეში.

§ 8. სარდაფში მოთავსებული, და აგრეთვე გასავლელი ოთახების ქირის გადახდევინება სწარმოებს 50 პროცენტით ნაკლები დაწესებული ტარიფისა.

§ 9. ბინის ქირა ისეთ სახლებში, რომელნიც ქალაქის განაპირა უბნებში იმყოფებიან, შემცირებული უნდა იქნეს 50 პროცენტით ყველა კატეგორიის მოქალაქეთათვის, გარდა იმ პირებისა, რომელნიც აღნიშნული არიან მე-7 პარაგრაფში.

შენიშვნა. თბილისის საბჭოს მიერ 1923 წლის 23 აპრილის თარიღით დაწესებულ დაყოფა ქალაქისა ცენტრათ და განაპირა უბნებათ, დღესაც რჩება ძალაში.

§ 10. ბინის დამქირავებელთ უფლება აქვთ გადაიხადონ ზემომოყვანილი ნორმების მიხედვით საცხოვრებელი ბინის ქირა, რომელიც უკავიათ მათ და მათ მზრუნველობაზე მყოფ ოჯახის წევრს, იმ შემთხვევაში, თუ თითო პირზე მოდის არა უმეტეს 20 ოთხკუთხ არშინისა.

საცხოვრებელი ბინის ზედმეტ სივრცეში დამქირავებელმა უნდა გადაიხადოს ორმაგი ქირა. ამ ზედმეტი ქირის ნახევარი შედის თბილისის აღმასკომის სასარგებლოდ საბინაო-სამშენებლო ფონდის გასაძლიერებლად.

შენიშვნა 1. ზედმეტი სივრცის ქირას, რომელიც უჭირავთ ზოგიერთ მუშა-მოსამსახურეს, თანახმად საქართველოს ს. ც. ა. კ-ის და სახკომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის 26 სექტემბრის თარიღით გამოცემულ დეკრეტის მე-მუხლის შენიშვნისა, [illegible] არ აღემატება 30 ოთხკუთხ. არშინს, იხდიან [illegible] ნორმით, როგორც ძირითად სივრცისათვის.

შენიშვნა 2. იმ პირთა სია, რომელნიც სარგებლობენ უფლებით იქონიონ კაბინეტი, დაწესებული იქნება კომუნალური განყოფილების მიერ სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

§ 11. როდესაც ოჯახში არის რამდენიმე წევრი, რომლებსაც დამოუკიდებელი შემოსავალი [illegible] ქირა განსაზღვრული უნდა იქნას იმ პირის შემოსავალის მიხედვით, რომელსაც მეტი შემოსავალი აქვს.

§ 12. ბინის ქირა იმ პირებმა, რომელნიც აღნიშნული არიან მე-7 პარაგრაფში, უნდა შეიტანონ არა უგვიანეს მიმდინარე გადასახდელი თვის 1 რიცხვისა, დანარჩენებმა კი არა უგვიანეს გადასახდელზე მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

§ 13. ბინის ქირის გადაუხდელობა ორი თვის განმ [illegible] თა მიერ, რომელნიც ჩამოთვლილი არიან მე-3, მე-4 და მე-5 პარაგრაფებში და ერთი თვის განმავლობაში კი დანარჩენ მოქალაქეთა მიერ, იწვევს ბინის დამქირავებელთა გამოსახლებას ბინებიდან სასამართლოს დადგენილებით.

შენიშვნა 1: ის პირები, რომელნიც ცხოვრობენ არა შრომით მოპოვებულ შემოსავალით, ბინის ქირის დაწესებულ ვადაზე გადაუხდელობისათვის (§ 13), გამოსახლებული იქნებიან მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაციაქმნილ სახლებიდან ადმინისტრატიული წესით.

შენიშვნა 2. ბინის ქირის ვადაზე გადაუხდელობა (§ 13) იმ პირთა მიერ, რომელნიც ჩამოთვლილი არიან მე-3, მე-4 და მე-5 პარაგრაფებში, თუ ეს გარემოება გამოწვეულია ხელფასის, ჯამაგირის, დახმარების და სხვ. თავის დროზე მიუღებლობის გამო, რაც დადასტურებული უნდა იქნეს სათანადო წესით,—არ იწვევს მათ გამოსახლებას ბინებიდან.

§ 14. ეს დებულება არ ვრცელდება სასტუმროებზე.

§ 15. დებულება ესე ძალაში შედის 1925 წლის 1-ლ იანვრიდან.

პარტიული ცხოვრება

სამწუხარო შეცდომა

პარტიულ ცხოვრების განყოფილებაში გუშინ მოთავსებულ წერილს შეცდომით აქვს სათაური: „რაიონებში **საკონტროლო** კომისიების დაარსების შესახებ", უნდა იყოს: „რაიონებში **სარევიზიო** კომისიების დაარსების შესახებ". აგრეთვე, წერილის ტექსტში ყველგან, სადაც სწერია სარაიონ **საკონტროლო** კომისიები, უნდა იყოს სარაიონო **სარევიზიო** კომისიები.

ამხ. მ. კახიანის მოხსენება სახ. უნივერსიტეტში

კვირას 7 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მუშფაკის მსმენელთა გაერთიანებულ კრებაზე საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მ. კახიანმა.

მომხსენებელმა ფართოთ გააცნო დამსწრეთ რეაქციის შემოტევა: ინგლისში, გერმანიაში და სხვაგან. შეეხო, თუ როგორი კრახი განიცადა „მუშათა პარტიამ" ინგლისში, გერმანიაში და რა ბედი მოელის მას სხვა ქვეყნებში, რას უმზადებს ინგლისის იმპერიალიზმი დამონავებულ ეგვიპტეს, როგორი სისხლის მორევი დააყენეს იმპერიალისტმა მტაცებლებმა ჩინეთში, რომელსაც კიდევ დასასრული არ უჩანს, რას უქადის დოუესის გეგმა ისედაც გაძვალტყავებულ გერმანიას, როგორ იღვრება მუშების სისხლი შოვინისტურ ესტონეთში და სხვა.

შემდეგ ამხ. კახიანმა ვრცლად გაარკვია საკავშირო რესპუბლიკების მდგომარეობა. კერძოდ კი, თუ როგორი მეგობრულ ურთიერთ განწყობილებაშია რამოდენიმე ათეული ერები საბჭოთა კავშირებისა, რომელნიც ბურჟუაზიის წყალობით რამოდენიმე წლის წინათ დაუნდობლათ ჟლეტდნენ ერთმანეთს, როგორ სწრაფათ უმჯობესდება ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა საბჭოთა ქვეყნების, როგორია დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოების საბჭოთა კავშირთან, როგორ გაიხრწნა და დაკნინდა ანტი-საბჭოთა პარტიები.

აღსანიშნავია ის გარემოება, თუ როგორ გამოიცვალა საერთო სტუდენტთა შეხედულება ჩვენ მთავრობაზე. თუ წინათ კომუნისტებს მხოლოთ შორიდან უღრენდნენ, დღეს სიამოვნებით უსმენენ მას.

მომხსენებლის სიტყვა მრავალრიცხოვანმა კრებამ მქუხარე ტაშით დააჯილდოვა. დასასრულ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

სასურველია ასეთი შინაარსის მოხსენებები ხშირათ კეთდებოდეს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სტ. აქ. შანიძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

სოფ. გიორგიწმინდის ახკომკავშირის უჯრედი

(გარე-კახეთი)

სოფელი გიორგიწმინდა თბილისიდან დაშორებულია 60 ვერსის მანძილზე. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აქ დაარსდა კომკავშირის ორგანიზაცია, რომელიც თავის გარშემო იკრებს გლეხურ ახალგაზრდობას. პირველად ეს ორგანიზაცია აერთიანებდა 10-12 წევრს, მაგრამ უჯრედის ენერგიული მუშაობით, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა ამხ. ფრიდონ მარიდაშვილი, მდგომარეობა შეიცვალა იმ მხრივ, რომ დღეს ის აერთიანებს 16—18 წევრამდე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის, რომ უჯრედს აქამდე არ ჰქონდა საკუთარი კლუბი. შემდეგ კი, როდესაც ორგანიზაციას ეღირსა ეს ბედნიერება და ადგილობრივ საყდარი გადააკეთეს კლუბათ, დაიწყეს კლუბის შეკეთება, მაგრამ ის დღემდე დამთავრებული არ არის.

მაგრამ რა არის ამის მიზეზი?

აი რას გვიამბობს კომკავშირის ერთი წევრი: „უჯრედის წევრებს გულით გვინდა ვისწავლოთ, გვინდა, რომ კლუბი დავამთავროთ, მაგრამ ყურადღებას კი არავინ გვაქცევს, არავინ დახმარებას არ იძლევა. უჯრედს არა აქვს საშუალება სისტემატიურად მოიწვიოს თავისი კრებებიც კი. ამ პირობებში იძულებული ვართ თავი დავანებოთ უჯრედს, მით უმეტეს, რომ არ გვყავს საჭირო ხელმძღვანელებიც"-ო. ნუ თუ საგარეჯოს კომპარტიის ორგანიზაციას არ შეუძლია ახკომკავშირის უჯრედს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება, რომ მიიღოს საჭირო ზომები და გადაარჩინოს უჯრედი დაშლისაგან? საჭიროა ამ გარემოებას ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ მიაქციოს სერიოზული ყურადღება.

ი. ჯ.

თბილისის აღმასკომის კომუჯრედში

კომუჯრედის უკანასკნელ სხდომაზე დღის წესრიგში იდგა მოხსენება აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ადგილკომის № 10 მუშაობის შესახებ, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. იაკობაშვილმა.

ხსენებული ადგილკომი აერთიანებს 45 დაწესებულებას, მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 400 კაცს, რომელთაგანაც 100 პროც. კავშირის წევრებია, ეროვნებათა მიხედვით კი: ქართველი 166, სომეხი 118, რუსი 57, პოლონელი 11, ებრაელი 14, გერმანელი 3, ბერძენი 1, თათარი 4 და სხვა 2.

შრომის დაცვის კომისიის მიერ შემოვლილი იყო მთელი დაწესებულებები, რათა გამოერკვიათ, თუ ჰქონდა სადმე არანორმალურ მდგომარეობას ადგილი და თუ ასეთი აღმოჩნდებოდა, კომისია სწყვეტდა მას მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ. კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ზედმეტ საათების, ბინის და სხვა საკითხებს. იყო შემთხვევა, რომ სანიტარულ ექიმებს გაუუქმეს ტრამვაის ბილეთები, რომელიც კომისიამ კვლავ მოაგვარა. თვით კომისიის მუშაობაში არანორმალურ მდგომარეობას ადგილი არ ჰქონებია.

შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის სხდომები საანგარიშო ხნის განმავლობაში შესდგა 30-ჯერ, გაირჩა 378 საკითხი, [illegible] მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვას: კოლექტიურ ხელშეკრულების 3-ჯერ გადასინჯვა, ჯამაგირის მომატება, შეტანა კოლექტიურ ხელშეკრულებაში შემდეგ მუხლისა: ის მუშა-მოსამსახურენი, ვინც ვერ სარგებლობენ გამოსასვლელ დღეებით, მიეცეთ დამატებით კიდევ წლის განმავლობაში ერთი თვის შვებულება, კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად მუშა-მოსამსახურე, რომლებიც ცხოვრობდენ ორი ვერსის დაშორებით დაწესებულებაზე, მათ ტრამვაის ფული.

ადგილკომის სხდომა შესდგა 30-ჯერ; საერთო კრება 14-ჯერ. გატარებულია ყოველნაირი კამპანია.

საფინანსო მხარე უკეთ პირობებშია. 3 დღის განმავლობაში მთელი საწევრო გადასახადი კრიბება და მეორე დღესვე ბარდება კავშირს, ადგილკომი ადებულ ფულს ხარჯავს კავშირის სატარიფო განყოფილების მიერ დამტკიცებულ სმეტით.

სატარიფო-საეკონომიო მხრის დარგშიც ვხედავთ, რომ გატარებულია მტკიცე ტარიფიკაცია, ჯამაგირები ყოველთვის რიგდება თავის დროზე და სხვა.

კულტკომისიის მუშაობა სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. მან დაარსა ლენინის კუთხე, ამასთანავე მოწყობილ იქნა სამკითხველო, მოეწყო კედლის გაზეთი „შრომა"-ს სახელწოდებით, კედლის გაზეთის მეორე ნომერი უკვე შედგენილია და მიცემული ლიტოგრაფიაში დასაბეჭდათ. არის დიდი მოთხოვნილება წრეების და კურსების დაარსებისა, რომლებიც ზოგან უკვე მოწყობილია, მაგრამ ამ მხრივ საქმეს ნორმალურად მოგვარებისათვის მეტად აფერხებს ხელმძღვანელ ძალების უქონლობა; განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს, თუ როგორი მოთხოვნილებაა პოლიტ-წრეების და წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების მოწყობისა. ამჟამად კულტკომისიის მუშაობის სიმძიმის ცენტრი სწორედ აქეთკენაა მიმართული. ამ მიზნისათვის განხორციელებულია [illegible] კულტკომისია სცდილობს საღამოების მოწყობით შექმნას [illegible]. ადგილკომს გამოწერილი აქვს შემდეგი გაზეთები: „მუშა"—1, „კომუნისტი"—1, „რაბოჩაია პრავდა" [illegible], „ზარია ვოსტოკა"—1, მოს[illegible], „პრავდა"—1, „ტრუდ"—1, „[illegible]ტია"—1 და ჟურნალი „მედიცინსკი რაბოტნიკ"-ი—20 ცალი, რაც შეეხება თანამშრომლებს, თითქმის [illegible] ლას აქვს გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები.

კომუჯრედის მიერ, მრავალ შეკითხვების შემდეგ, ადგილკომის მუშაობა ცნობილ იქნა ფრიად დამაკმაყოფილებლად და ესურვა მას შემდეგშიც ასეთივე ენერგიული მუშაობა.

პარტკორი **ნინა სალირაშვილი.**

პარტმუშაობა საარტილერიო დივიზიაში

კომუჯრედი

საარტილერიო დივიზიაში კომუჯრედის კრებები იმართება სისტემატიურათ სამოქალაქო უჯრედის წარმომადგენლების თანადასწრებით. კეთდება მოხსენებები სამოქალაქო უჯრედის წარმომადგენლებიდან, რაიც წითელ არმიელებში ბადებს მუშაობის დიდ ინტერესს. ღია სხდომები იმართება ხშირად. მაგრამ დღემდე უფრო წარმომადგენლობის თანადასწრება არ იყო მოგვარებული. ამ ჟამად კი ამ მხრივაც საქმე მოგვარებულია.

კომკავშირი

კომკავშირელთა შორის მუშაობა დღემდე ვერ იყო თავის სიმაღლეზე დაყენებული. მიზეზი ამისა მდგომარეობდა შემდეგში:

დადგება თუ არა ახალგაზრდათა შორის მუშაობა თავის სიმაღლეზე, გაეცნობი სოფლიდან თვითეულ მოვლინებულ კომკავშირის წევრს და აგრეთვე ჩააბამ მათ აქტიურ მუშაობაში ფერხულში, ხანმოკლე დროის განმავლობაში ის უკვე მიდის უვადო შვებულებაში. ეს კი იწვევს ხელახალ მუშაობის დაწყებას. კერძოდ კი ხელახლა უნდა მოხდეს ახლად მოვლინებულ ამხანაგების აღრიცხვა, პირადი საქმეების მოგვარება, დაახლოვება.

ეხლა კი თვითეულ ბატარეებში [illegible]

მეცადინეობა ხდება კვირაში ერთხელ შაბათობით და ყოველ საჭიროებისთანავე საარტილერიო დივიზიის კომკავშირის ჯგუფებში იკრიბებიან ერთად და იხილავენ სხვადასხვა საკითხებს. ჩვენი კომკავშირის ჯგუფები დიდ ენერგიულობას იჩენენ კამპანიების ჩატარების საქმეში.

კლუბი

დღემდე დივიზიონს საკუთარი კლუბი არ ჰქონებია, რამაც საგრძნობლად ხელი შეგვიშალა საკლუბო მუშაობის ნორმალურად დაყენებ[illegible] საქმეში. მხოლოდ ერთი თვის [illegible] შევძელით, რაც შევიძინეთ [illegible] კლუბი და მუშაობაც გამო[illegible] კლუბის საჭირო საგნებ[illegible] ერთი დაკვრით ძალიან [illegible] და ამ მხრივ დიდი დახ[illegible] წია ჩვენს ნაწილს მე-[illegible] შეფმა ამხ. დოლიძის ხელმძღვანელობით გრეხილ აბრეშუმის ქარხნიდან, საიდანაც გამოგვიგზავნეს 20 სკამი.

ამ ჟამად კლუბში წარმოდგენები იდგმება კვირაში სამჯერ თუ ოთხჯერ ამხ. არველაძის ხელმძღვანელობით.

ჩვენს ნაწილში გამოდის აგრეთვე სისტემატიურად კედლის გაზეთი [illegible]